პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 93 (3577)

14 1968 წ. მაისი. სამშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 24-ე წელი.

# მატჩი, რომელიც ისტორიაში შევა

ავტორი ბოდიშს იხდის მკითხველის წინაშე ამ „მჭექარე" სათაურისთვის, მაგრამ ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის საპასუხო მეოთხედფინალური მატჩი ლუჟნიკის ცენტრალურ სტადიონზე სსრ კავშირისა და უნგრეთის ეროვნულ ნაკრებ გუნდებს შორის თავისი დაძაბულობით და სანახაობრივი თვალსაზრისით, სილამაზით და ოსტატობის დონით, საშემსრულებლო ხელოვნებით გამოდგა ისეთი, რომ მას სხვა შეფასებას ვერც მისცემ. იგი აუცილებლად შევა ისტორიაში.

რა თქმა უნდა, მე არ მეგულება ფეხბურთის მოყვარული, რომელსაც არ ენახა ეს მატჩი ტელეტრანსლაციით, არ ენახა მისი უკიდურესად მწვავე, განუმეორებელი პერიპეტიები. მაგრამ, ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ იქნება, თუ 11 მაისის თამაშის უშუალო მომსწრე ორიოდე სიტყვას იტყვის იმაზე, რაც მან მოსკოვში ნახა.

დიდი ხნით ადრე შეხვედრის დაწყებამდე, სანამ ფეხბურთელებიც და მსაჯებიც ჯერ კიდევ შორეულ სამზადისში იყვნენ თავიანთ გასახდელ ოთახებში, სანამ სტადიონის სასამსახურო განყოფილებებსა და სექტორებში საქმიანი ფუსფუსი სუფევდა, ზევით, ლუჟნიკის გიგანტური ჯამის ტრიბუნებზე ატმოსფერო უკვე მაქსიმალურად დაიძაბა. თამაშის დაწყებამდე 1 საათი იყო დარჩენილი, ტრიბუნები კი ისე გუგუნებდნენ, გეგონებოდათ მატჩი თავის კულმინაციურ წერტილს უახლოვდებაო.

ამის მთავარი მიზეზი გახლდათ უნგრეთის ტურისტთა დიდი ჯგუფის გამოჩენა სტადიონზე. უნგრელი გულშემატკივრები ენით აუწერელი ხმაურით შემოვიდნენ ტრიბუნებზე. თითეულ მათგანს ხელში ეჭირა ეროვნული სამფეროვანი დროშა, რომელსაც განუწყვეტლივ აფრიალებდა თავს ზემოთ, ამას გარდა აუარებელი პლაკატი, ტრანსპარანტი, ფერადი ბუშტები, საყვირები, ზარები, საჩხაკუნებლები. წარმოუდგენელი გნიასი იდგა. ზედ ჩვენს წინ ერთ გულშემატკივარს უშველებელი ზარი ეჭირა, მენავთეებს რომ ჰქონდათ ისეთი, და პირდაპირ აიკლო იქაურობა მისი რეკვით. უნგრელთა ასეთ ქომაგობას მასპინძლებმა თავიანთი ნაცადი „შაიბუ" დაუპირისპირეს და ამ ორი ბანაკის პაექრობამ ფეხბურთელთა მინდორზე გამოსვლის დროისთვის არნახულ მასშტაბებს მიაღწია. სტადიონი ზანზარებდა ყიჟინისგან.

მართალი რომ გითხრათ, უნგრელ გულშემატკივრებს ჰქონდათ საბაბი ასეთი სითამამით და აჟიოტაჟით შეხვედროდნენ თავიანთ ფეხბურთელებსაც და თვით მატჩსაც. 4 მაისს „ნეპშტადიონზე" მოპოვებული გამარჯვება ანგარიშით 2:0 საკმარისზე მეტი გარანტია იყო ასეთი დარწმუნებული ოპტიმიზმისთვის და პრესის ლოჟაში მყოფი უნგრეთის სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთების კორესპონდენტებიც სრული იმედით ელოდნენ მატჩს, რომლის შემდეგაც მათი გუნდი ნახევარფინალში უნდა გასულიყო, სადაც მათ უკვე ელოდა მოწინააღმდეგე — იტალიის ნაკრები.

საოცრად დაძაბული სიტუაცია იყო. საბჭოთა გუნდის მომხრეებს ყველას ერთი აზრი ტრიალებდა თავში: რას მოიტანდა ეს საათნახევრიანი მატჩი? რა შესაძლებლობები ჰქონდათ ჩვენებს? განა დათმობდა უნგრეთის ძლიერი, შეთამაშებული, სრულ საბრძოლო ფორმაში მყოფი გუნდი ისეთ დიდ უპირატესობას, როგორიცაა 2 გოლი? ძალზე საეჭვო იყო. ამას გარდა, უნგრელებს ისევ ჩაუდგა სათავეში თავდასხმის ლიდერი, გუნდის კაპიტანი, ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად მიჩნეული ფ. ალბერტი, ეს კი უტყუარი კოზირი იყო სტუმრებისთვის.

დაიწყო თამაში. მაშინვე, პირველივე წუთებზე ცხადი გახდა, რომ უნგრელები იმ 2 გოლის იმედით იყვნენ, რომლებიც მათ „ნეპშტადიონზე" გაიტანეს 4 მაისს. გუნდი თავიდანვე დაცვაში ჩაიკეტა, მთელ ძალებს მინდვრის შუაგულში მოუყარა თავი და ფაქტიურად გაყინა თამაში. უნგრელთა მწვრთნელს კ. შოოშს რა ესწავლება. იგი გამოჩენილი სპეციალისტია, მაგრამ ჩვენი აზრით, ასეთი ტაქტიკა არაა სწორი. 2 გოლის უპირატესობამ, პირიქით, გუნდს მეტი სტიმული უნდა მისცეს დამაჯერებელი, აქტიური თამაშისთვის, შეტევა ასეთ დროს სულაც არ ნიშნავს დაცვის შესუსტებას, გაუმართლებელ რისკს. მოწინააღმდეგე უნდა მოთოკილი გყავდეს და თავიდანვე აგრძნობინო, რომ მისი მდგომარეობა უიმედოა.

საბჭოთა გუნდს საშიში არაფერი ჰქონდა უნგრეთის ნაკრების თავდამსხმელთა მხრივ. ტაიმი გავიდა ისე, რომ ჩვენი მცველები არა მარტო წარმატებით იგერიებდნენ მეტოქის ეპიზოდურ, მორიდებულ კონტრიერიშებს, არამედ სისტემატურად გადიოდნენ წინა ხაზზე და გაბედულად მონაწილეობდნენ შემტევ ოპერაციებში. თვით ანიჩკინიც კი, რომელიც პერსონალურ დარაჯად ედგა ალბერტს, ყოველ შესაფერის მომენტს იყენებდა საიერიშოდ. ჩვენს ფორვარდებთან მხარდამხარ ხშირად ნახავდით აფონინს, შესტერნიოვს, ალარაფერს ვამბობ ხურცილავაზე, რომელიც გუნდის სულსა და გულს წარმოადგენდა. იგი უნაკლოდ მოქმედებდა დაცვაში, შესანიშნავად ეხმარებოდა პარტნიორებს და სულ იმის ძებნაში იყო, გზა მოენახა უნგრელთა კარისკენ. ეს გზა მან მონახა კიდეც და როგორც იცით, გოლიც გაიტანა საჯარიმო დარტყმიდან.

დრო. მისი იმედი გამუდმებით ჰქონდათ უნგრელებს. ისინი ყოველნაირად ცდილობდნენ თუნდაც რამდენიმე წამის „ეკონომია" გაეკეთებინათ სტანდარტულ მდგომარეობათა გათამაშებისას, აუტის მოწოდებისას და ა. შ. მაგრამ დროის გაყვანის იმედით ყოფნა იგივე პასიური თამაშია, რომელსაც ყოველთვის როდი მოაქვს სასურველი შედეგი.

საბჭოთა გუნდის იერიშები ამასობაში სულ უფრო მძლავრდებოდა, სულ უფრო მეტ ტემპს იღებდა. რა საჭიროა ყველა იმ მომენტის ჩამოთვლა, რომლებიც თქვენც კარგად ნახეთ ტელეეკრანზე. თითქმის ყოველ 5 წუთში სტუმრების კარი ბეწვზე ეკიდა, სადაც განერვიულებული მეკარე ტამაში და მცველები შეცდომას შეცდომაზე უშვებდნენ. მე არ მახსოვს მატჩი, რომელიც ჩვენს ნაკრებს ასეთი სიძლიერით ჩაეტარებინოს. თავდასხმა, რომელსაც ტონს ბიშოვეცი აძლევდა, პირდაპირ მუსრავდა ყველაფერს თავის გზაზე და უნგრელები ღმერთს უნდა უმადლოდნენ, რომ ტაიმი მხოლოდ მინიმალური ანგარიშით წააგეს. ბიშოვეცმა და ბანიშევსკიმ ტაიმის დასასრულს დაკარგეს ორი ისეთი მომენტი, რომელთა გამოუყენებლობა ყოვლად შეუძლებელია.

„დამხმარედ" მოგვევლინა უნგრელთა ცენტრალური მცველი შოიმოში. ამ გამოცდილ ფეხბურთელს, ეტყობა, ნერვებმა უღალატა, როცა ბანიშევსკის დარტყმული ბურთის მოგერიება უნდოდა და საკუთარ კარში გაგზავნა იგი.

ტაიმის რეზიუმე ასეთი იყო: საბჭოთა გუნდის აბსოლუტური უპირატესობა, სრული რევანშის პერსპექტივები: უნგრელებმა პირველ 45 წუთში ვერაფერი აჩვენეს. ალბერტს, რომლის მინდორზე ხილვასაც ასეთი ინტერესით მოველოდით, თითქმის არაფერი გაუკეთებია. სტუმრების აქტივს შეადგენდა მხოლოდ ვარგას მიერ საუკეთესოდ შესრულებული საჯარიმო დარტყმა, რომელიც კარგად აიღო პშენიჩნიკოვმა.

სტუმრებმა, ეტყობა, თავიანთი ტაქტიკის შეცვლა განიზრახეს მეორე ტაიმში. ათიოდე წუთის განმავლობაში რამდენიმე კომბინაცია გაითამაშეს კოჩრამ, ვარგამ, ფარკაშმა, მაგრამ აი, ხურცილავამ მეორე ბურთი გაიტანა საჯარიმო დარტყმით და ისევ დაიწყო გრიგალი უნგრელთა კართან. ხოლო როცა ბიშოვეცმა შესანიშნავად გამოიყენა ევრიუჟიხინის გადაცემა და მესამე ბურთი „ჩააჭედა" მეტოქის კარში, ყველაფერი ნათელი შეიქნა: საბჭოთა გუნდი ამ დღეს უძლეველი იყო. მიწყნარდნენ უნგრელი ტურისტები. ჩამოუშვეს პლაკატები და რაც მთავარია, მიჩუმდა ჩვენს წინ მჯდარი „მენავთე" თავისი ყურისწამლები ზარით.

მაგრამ გამარჯვებას შენარჩუნება ესაჭიროებოდა და აქ თავი გამოიჩინა პშენიჩნიკოვმა, რომელმაც ბოლო წუთებზე ორი უძნელესი ბურთი აიღო ალბერტისა და შოიმოშისგან.

ჩვენ გავიმარჯვეთ! ძნელია გამოჰყო საუკეთესონი საბჭოთა გუნდიდან, ვინაიდან გამარჯვებაში ყველამ შეიტანა თავისი წვლილი, მაინც ყველაზე მეტი გუნდს მისცეს ბიშოვეცმა, ხურცილავამ და შესტერნიოვმა. არ შეიძლება მაღალი შეფასების გარეშე დავტოვოთ პშენიჩნიკოვიც, რომელსაც დიდი დატვირთვა არ ჰქონდა, მაგრამ ცალკეულ მომენტებში შეუდარებელი იყო.

დაბოლოს, მატჩის შემდეგ ტრადიციული ინტერვიუს გამორთმევა ვცადე კ. შოოშთან. უნგრელთა მწვრთნელმა დაღლილად ჩაიქნია ხელი და მაგრძნობინა, რომ ინტერვიუს და საუბრის თავი აღარა ჰქონდა. ყველაფერი ისედაც ცხადი იყო.

ბ. ქორქია.
(ჩვენი სპეც. კორ.).

მოსკოვი.

## სნაიპერთა დუელი

ვისბადენი, 13 მაისი. [illegible] მხოლოდ [illegible] ჩვენმა ტყვიის მსროლელებმა გფრ-ის ამ ქალაქში გამართულ 3 ქვეყნის სნაიპერთა მატჩში, რომელშიც ასპარეზობდნენ გფრ-ის, აშშ-სა და სსრ კავშირის სპორტსმენები. ჩვენებმა წარმატებას მიაღწიეს მცირეკალიბრიანი შაშხანით სროლაში, როცა 2347 ქულა დააგროვეს. ამერიკელების შედეგია 2340, გფრ-ის გუნდისა — 2324. პირადში უძლიერესი იყო საბჭოთა სპორტსმენი ო. ლაპკინი — 596 (600-დან).

7 ვარჯიში მოიგეს ამერიკელებმა, ერთი — გფრ-ის წარმომადგენელმა.

შეჯიბრებაში უმთავრესად ვაჟები გამოდიოდნენ, მაგრამ ყველაზე ზუსტი მსროლელი მაინც ქალი გამოდგა — მ. ტომპსონი (აშშ). მან აჩვენა აბსოლუტურად საუკეთესო შედეგი ნებისმიერი შაშხანით დგომელა სროლაში — 380. ეს შედეგი 4 ქულით უკეთესია მსოფლიო რეკორდზე, მაგრამ ტომპსონის ეს მიღწევა რეკორდად არ ჩაითვლება, რადგან იგი ნაჩვენები უნდა იყოს მსოფლიოს, ევროპის ჩემპიონატებსა ან ოლიმპიურ თამაშებში.

## საოცარია, მაგრამ ფაქტია! [illegible]

◆ ფრესნო (აშშ, კალიფორნიის შტატი), 13 მაისი. აქ გამართულ მძლეოსანთა შეჯიბრებაში შვიდმა ჭოკით მხტომელმა გადალახა 5 მეტრი სიმაღლე. ბ. სიგრენის შედეგია 534 სმ, ე. მუსტაკარისა — 518. ე. მაკალომ 120 იარდზე რბენაში აჩვენა 13,3 წამი, 18 წლის ფ. ჯეკსონი სიმაღლეზე გადახტა 213 სანტიმეტრზე.



თბილისში ახლახან დამთავრებულ მოკრივეთა რესპუბლიკურ ჩემპიონატში თავი ისახელა მძიმე წონის ქუთაისელმა მოკრივემ ა. ნიკოლაძემ, რომელმაც ფინალური შეხვედრა მოუგო გამოცდილ თბილისელ ოსტატს ვ. კლიუჩნიკოვს.

ს უ რ ა თ ზ ე: ამ ორთაბრძოლის ერთი მომენტი. უკანა პლანზე — ნიკოლაძე.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

## მხოლოდ მეტრეველი

რომი, 12 მაისი. იტალიის ღია ჩემპიონატის პირველ წრეში თბილისელმა ჩოგბურთელმა ა. მეტრეველმა დაამარცხა ამერიკელი გ. კესლა — 6:3, 6:3, 6:1. კიეველმა გ. ბაკშეევამ იტალიელ ს. დე ნიგრისის დამარცხების შემდეგ მოუგო ავსტრალიელ კ. მარიხს — 6:3, 6:3. III ტურში ბაკშეევა დამარცხდა ავსტრალიელ მ. სმითთან — 2:6, 0:6. მომდევნო შეხვედრები წააგეს აგრეთვე ბაქოელმა ს. ლიხაჩოვმა და მოსკოველმა ვ. კოროტკოვმა. დამარცხდა ჩვენი ვაჟთა წყვილიც: მეტრეველმა და ლიხაჩოვმა წააგეს ავსტრალიელ ა. სტოუნთან და ბერძენ ნ. კალოგეროპულოსთან. ამგვარად, პირადი პირველობისთვის საბჭოთა ჩოგბურთელთაგან მხოლოდ მეტრეველი იბრძოლებს.

## პოლონელები ემზადებიან

პოლონეთის ქალაქ შჩეცინში დამთავრდა ამ ქვეყნის ეროვნული ჩემპიონატი ძალოსნობაში. როგორც პოლონეთის პრესის სააგენტო იუწყება, ძალოსანთა კავშირმა ამ შეჯიბრების შედეგების შესაბამისად დაასახელა ევროპის პირველობის კანდიდატები, რომლებიც 19-25 ივნისს ლენინგრადში იასპარეზებენ. აი ეს კანდიდატები: ვ. შოლტისეკი და ჰ. ტრემბიცკი (მჩატე წონა), მ. ნოვაკი და რ. კოზლოვსკი (ქვემსუბუქი), ვ. ბაშანოვსკი და მ. ზელინსკი (მსუბუქი), ნ. ოზიმეკი, ა. პეტრუშეკი და ა. რიგულა (საშუალო), მ. გოლომბი (ქვემძიმე) და რ. ვუიციკი (მძიმე).

გუნდში არ იქნება მხოლოდ ქვესაშუალო წონის სპორტსმენი. სამაგიეროდ, ათი წლის „შესვენების" შემდეგ პოლონეთის წარმომადგენელი პირველად გამოვა მძიმე წონაში.

# ოლიმპიური ჩემპიონის დამარცხება

სსრ კავშირში ამხანაგურ შეხვედრებს ატარებს იუგოსლავიის კლასიკურ მოჭიდავეთა ნაკრები. სტუმრებმა პირველი მატჩი გამართეს თბილისში საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ. აქედან ისინი გაემგზავრებიან ჯერ სომხეთში, შემდეგ კი აზერბაიჯანში. იუგოსლავიის ნაკრების შემადგენლობაში გამოდიან მსოფლიოში ცნობილი მოჭიდავეები — ევროპის ჩემპიონატის პრიზიორი ბოშკო, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ხორვატი, რომის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი სიმიჩი და სხვ. აღნიშნულმა გარემოებამ შეჯიბრებისადმი ინტერესი ერთიორად გაზარდა.

თბილისის სპორტის სასახლის ხალიჩაზე თავდაპირველად გამოვიდნენ უმჩატესი წონის მოჭიდავეები ვახტლერი და ხარაბაძე. ბრძოლა ყოველგვარი დაზვერვის გარეშე დაიწყო. ხარაბაძემ თავშივე 2 ქულა აართვა მეტოქეს, მე-6 წუთზე კი იუგოსლაველი თავისსავე ილეთზე წამოეგო და წმინდა დამარცხებას ლეიბიდან გაქცევით გადაურჩა. ქულებით გამარჯვება საქართველოს გუნდის წევრს მიეკუთვნა.

კარგი ტაქტიკური და ტექნიკური ბრძოლა გვიჩვენა საქართველოს ნაკრების დებიუტანტმა მეგრელიშვილმა. მისი მეტოქე იყო ბოშკო. ახალგაზრდა თბილისელი არ შეუშინდა ძლიერ მეტოქეს, აგრესიულად წარმართა შეხვედრა და დამსახურებული გამარჯვებაც მოიპოვა. იუგოსლავიის გუნდს პირველი წარმატება მოუტანა დამიანოვიჩმა, რომელმაც ფრედ დაამთავრა ბრძოლა ტატიშვილთან.

სსრ კავშირის ნაკრების წევრის ხირბილაძის (მსუბუქი წონა) მეტოქე იყო კეცმანი. ჩვენმა მოჭიდავემ ბრძოლა დაზვერვით დაიწყო. თანდათან გამოიკვეთა იუგოსლაველის სუსტი მხარეები, რომლებზეც გაამახვილა ყურადღება ხირბილაძემ. მაგრამ იუგოსლაველი აშკარად გაურბოდა აქტიურ ბრძოლას და შეხვედრაც ალბათ ფრედ დამთავრდებოდა, კეცმანს ბოლო წუთებზე ყურადღება რომ არ მოედუნებინა. ამით ისარგებლა ჩვენმა მოჭიდავემ, მეტოქეს წელში შეუვარდა და გამარჯვებაც მოიპოვა.

ყველაზე მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა ახალგაზრდა ქართველი ფალავანი ჭელიძე. მისი მეტოქე იყო მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ხორვატი. ეს ორთაბრძოლა უშედეგოდ დამთავრდა, მაგრამ ჭელიძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მას ბოლო 9 წუთის მანძილზე ინიციატივა ხელიდან არ გაუშვია.

მოულოდნელი შედეგით აღინიშნა ოლიმპიური ჩემპიონის სიმიჩისა და ბადაშვილის შეხვედრა, თუმცა, გულახდილად რომ ვთქვათ, მოულოდნელი აქ არაფერი იყო. ბადაშვილი ცნობილია გდებების ბრწყინვალე შესრულებით. მან პირველსავე წუთზე განახორციელა თავისი საყვარელი ილეთი და მეტოქე ხიდზე შეაყენა. ქართველი ოსტატის უპირატესობა შემდგომშიც აშკარა იყო და მან დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა.

მძიმე წონაში ერთმანეთის პირისპირ წარსდგნენ იუგოსლაველი ჩიტაკოვიჩი და თბილისელი ჩიბურდანიძე, რომელიც საერთოდ ქვემძიმეწონოსანია, მაგრამ ამჯერად, გუნდის ინტერესებისთვის მაღალ წონაში ცდიდა ძალას. იუგოსლაველი აშკარად უფრო მძიმე იყო მეტოქეზე და მაინც ეს შეხვედრა ფრედ დამთავრდა.

საქართველოს მოჭიდავეებმა ამხანაგური მატჩი მოუგეს იუგოსლავიის გუნდს — 6,5:1,5.

**ტ. ფილიშვილი,**
**სპორტის ოსტატი.**

---

**[უცხოეთის ქრონიკა]**

● პიარიზი, 12 მაისი. უკრაინეთში ტურნეს ატარებს ჩეხოსლოვაკიის კალათბურთელ ქალთა ნაკრები გუნდი. პირველი მატჩი სტუმრებმა გამართეს კოხტლა იარვეში და მოუგეს ადგილობრივ გუნდს—82:61. მეორე შეხვედრა ჩეხოსლოვაკიელებს აქ ჰქონდათ ესტონეთის ნაკრებთან და კვლავ გაიმარჯვეს — 59:51.

● ტოკიო, 12 მაისი. „დევისის თასის“ გათამაშების პროგრამით ერთმანეთს შეხვდნენ აზიის ზონის გუნდები იაპონია და ფილიპინები. გაიმარჯვეს იაპონელებმა — 4:1.

● აშშ, 12 მაისი. მშვიდობის XXI ველორბოლის III ეტაპი (ჰალე — ზული, 194 კმ) მოიგო პოლონელმა ზ. ჩეხოვსკიმ 5:17.55. იმ 15 მრბოლელს შორის, რომლებიც ძირითად ჯგუფს 5 წუთით მოსწყდნენ, 2 საბჭოთა სპორტსმენიც იყო — გ. საიდხუჟინი და ვ. ჩერკასოვი. IV ეტაპზე 2 შეჯიბრება გაიმართა. პირველი (ზული — ილმენაუ, 30 კმ დაყოფილი სტარტით) მოიგო ნორვეგიელმა ტ. ანდერსენმა, შემდეგ სპორტსმენები ილმენაუ — აუეს (170 კმ) ეტაპზე შეეჯიბრნენ ერთმანეთს. აქ გაიმარჯვა ცნობილმა ველომრბოლელმა კ. ამპლერმა (გდრ). 4 ეტაპის შემდეგ ლიდერობს საბჭოთა სპორტსმენი ვ. ჩერკასოვი, ხოლო საბჭოთა გუნდი III ადგილზეა. საინტერესოა, რომ შეჯიბრების სტარტზე გამოსული 107 სპორტსმენიდან რბოლას განაგრძობს მხოლოდ 86. იმ სპორტსმენთა შორის, რომლებიც ასპარეზობას გამოეთიშნენ, არის საბჭოთა ველოსიპედისტი პ. იიფერტი.

● **ლენინგრადი,** 12 მაისი. **პოლონეთის ეროვნული ნაკრების თავისუფალი სტილის მოჭიდავეებმა ორი ამხანაგური საერთაშორისო მატჩი გამართეს. პირველ მატჩში ლენინგრადელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 7,5:0,5, მეორე მატჩშიც უპირატესობა მასპინძლების მხარეზე იყო—4:3 (მძიმე წონაში მეტოქეებს მონაწილენი არ გამოუყვანიათ).**

● კელსინკი, 12 მაისი. ფინეთში სტუმრად იმყოფებიან ესტონელი ფრენბურთელები. პირველი მატჩები სტუმრებმა მოიგეს: ქალებმა ანგარიშით 3:0, ვაჟებმა — 3:1.

● **ჰააგა, 12 მაისი.** მოკრივეთა აქ მიმდინარე საერთაშორისო ტურნირის ფინალში გავიდა ოთხივე საბჭოთა სპორტსმენი — ზაპოროჟეცი, კუზნეცოვი, ემელიანოვი და სოკოლოვი.

● *ბრატისლავა, 12 მაისი. აქ მიმდინარეობს თანამედროვე ხუთჭიდელთა საერთაშორისო შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობენ ავსტრიის, უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკიის იუნიორები. ორი დღის შემდეგ ლიდერობა ხელთ იგდეს უნგრელებმა.*

● **ლენინგრადი,** 12 მაისი. **თანამედროვე ხუთჭიდელთა შეჯიბრებაში, რომელშიც ესტონეთის, ყაზახეთის, ლენინგრადის, მოსკოვისა და სხვა სპორტსმენები მონაწილეობენ, სამი დღის შემდეგ დაწინაურდა ლენინგრადელი ლ. ივანოვი — 2922 ქულა. მას 89 ქულით ჩამორჩება მოსკოველი ვ. მინაევი. გუნდურ ჩათვლაში წინ არიან მასპინძლები.**

---

# „ულტრა-სი“ — ეს ტაქტიკაა

*მსოფლიოში რამდენია მწვრთნელი, რომლის აღზრდილი ტანმოვარჯიშეებიც ოლიმპიურ ოქროზე აცხადებენ პრეტენზიას? ხუთი, ექვსი, დიდიდიდი ათი. ერთ-ერთი მათგანია ფიზკულტურის ცენტრალური ინსტიტუტის მასწავლებელი კონსტანტინე კარაკაშიანცი. თავის დროზე მან უკვე აღზარდა ოლიმპიური ჩემპიონი: ვალენტინ მურატოვმა მელბურნში გამარჯვება მოიპოვა ბჯენით ხტომებსა და თავისუფალ ვარჯიშში. კარაკაშიანცის მეორე მოწაფემ ვიქტორ ლისიცკიმ ტოკიოს ოლიმპიადაზე ვერცხლის მედლები მოიხვეჭა მრავალჭიდში, თავისუფალ ვარჯიშსა და ხტომებში. დღესდღეობით ლისიცკი ერთ-ერთი ყველაზე ნაღდი პრეტენდენტია ოლიმპიური ოქროსი როგორც ცალკეულ იარაღებზე, ისე მრავალჭიდში. მეხიკოს ოლიმპიადაში გამოვა სახელმოხვეჭილი მწვრთნელის კიდევ ერთი აღზრდილი — 19 წლის ვიქტორ კლიმენკო. სპეციალისტების აზრით, მას შეუძლია პრეტენზია განაცხადოს ოქროს მედლებზე ბჯენით ხტომებსა და თავისუფალ ვარჯიშში.*

*კარაკაშიანცი 1952 წლიდან ყველა ოლიმპიურ თამაშებსა და მსოფლიო ჩემპიონატებს ესწრება. საინტერესოა მისი აზრი ვაჟთა საერთაშორისო ტანვარჯიშის მდგომარეობაზე მეხიკოს სტარტამდე რამდენიმე თვით ადრე.*

● **რას ექნება უპირატესობა ოლიმპიურ ფიცარნაგზე, კლასსა თუ სირთულეს? — ამ შეკითხვით დაიწყო ინტერვიუ სპორტის ოსტატმა ა. კულაკოვმა.**

— ტანვარჯიშული ხელოვნება, — თქვა კარაკაშიანცმა, — დაფუძნებულია მაღალი კლასისა (სიწმინდე და შესრულების სილამაზე) და უჩვეულო სირთულის ჰარმონიაზე. მაგრამ მოხდა ისე, რომ განვითარების ზოგიერთ ეტაპზე სარეკორდო სირთულისკენ მისწრაფება ჩვეულებრივ ამბად იქცა. სირთულემ მთავარი ადგილი დაიკავა შესრულების შეფასებაშიც, კლასმა კი თითქოს მომდევნო ადგილზე გადაინაცვლა. მაგრამ წონასწორობა მუდამ აღსდგებოდა ხოლმე. ტოკიოს ოლიმპიადის შემდგომ პერიოდში კი, რომელიც დორტმუნდის მსოფლიო ჩემპიონატით დამთავრდა, სილამაზემ თავისი უფლება მოიპოვა.

● **ეხე იგი, საპირო თანაფარდობა თითქოს მიღწეულია და თემა: „კლასი ან სირთული“ ამოიწურა?**

— ამ შეკითხვაზე ამომწურავი პასუხის გაცემა ძნელია. სჯობს ეს პრობლემა კონკრეტული მაგალითების მიხედვით განვიხილოთ. მეხიკოს ოლიმპიურ კვირეულში მე ვხახე ჩვენი მთავარი მეტოქეები — იაპონელები. მათი ლიდერი აკინორი ნაკაიამა ორი წლის წინ თავისუფალ ვარჯიშებში ასრულებდა ასეთ ნაერთს: უკუგადაბრუნი გამართული წელით — უკუმალაყი ტრიალით წინ ბჯენამდე, შემდეგ — უკუმალაყი 540-გრადუსიანი ბრუნით რთულ ნაერთში. ახლა მან უარი თქვა ამ სირთულეზე და შედარებით მარტივი ნაერთებით შეცვალა იგი, მაგრამ მშვენივრად და დახვეწილად ვარჯიშობდა. ასე მოიქცნენ სხვა იაპონელი ტანმოვარჯიშეებიც. მათ უარი თქვეს ბევრ ტრიუკზე, რასაც სულ ახლახან წარმატებით ასრულებდნენ. შეიძლება ეს ორი მიზეზით მოხდა: ჯერ ერთი, ოლიმპიური კვირეული დაემთხვა მათი მზადების იმ პერიოდს, როცა რთული ვარჯიშები ბოლომდე დამუშავებული არ ჰქონდათ და წარმატება რომ მოეპოვებინათ, მარტივ ვარიანტებს მიმართეს. ოლიმპიური კვირეული არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც თამაშების გენერალური რეპეტიცია. არ შეიძლება ოლიმპიადამდე ერთი წლით ადრე საბრძოლო ფორმაში იყო. მეორე მიზეზი: შეიძლება იაპონელებმა გაითვალისწინეს დორტმუნდის შედეგები, სადაც უპირატესობა შესრულების ოსტატობას ენიჭებოდა და მეხიკოს კვირეულისთვის შეცვალეს მზადების გეგმა — მთავარი ყურადღება ვარჯიშის დახვეწილობას დაუთმეს. მაგრამ, ვიმეორებ, შეიძლება ეს უბრალოდ მანევრი იყო. იაპონელები გაბედული ტაქტიკის ოსტატები არიან. გავიხსენოთ მათი სენსაციური „ულტრა-სი“, რომლის არსებობაც ტანვარჯიშულმა სამყარომ მხოლოდ ტოკიოს ოლიმპიადის წინ შეიტყო. ეს იყო თავისებური ტაქტიკური მანევრი, რომელიც ასე თუ ისე, გამართლდა.

● **რას იტყვით ჩვენი ტანმოვარჯიშეების გამოსვლებზე მეხიკოს ოლიმპიურ კვირეულში?**

— როგორც მეხიკოში, ისე დორტმუნდში იაპონელებთან თითქმის ხუთი ქულით წავაგეთ. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ოლიმპიურ კვირეულში ჩვენი გუნდი შესუსტებული შემადგენლობით გამოვიდა (ტრავმის გამო ნაკრებში არ იყო მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი მ. ვორონინი), შედეგი არც ისე ცუდია.

● **მეხიკოს კვირეულის შემდეგ უცხოელმა სპორტულმა მიმომხილველებმა საბჭოთა ტანმოვარჯიშეები ასე მონათლეს: „მსოფლიოში ყველაზე მაღალი სირთულის ოსტატები“. განსაკუთრებით გამოჰყოფდნენ თქვენს მოწაფეებს ლისიცკისა და კლიმენკოს. ითვლება თუ არა ასეთი სირთულე ჩვენი ტანმოვარჯიშეების ერთგვარ ტაქტიკურ მიმართულებად?**

— მეხიკოში როგორც ლისიცკიმ, ისე კლიმენკომ მართლაც რთული პროგრამა წარმოადგინეს. ეს იყო გადამწყვეტი შემოწმება, რომლის შედეგადაც უნდა გაგვერკვია რა „შეიარაღება“ გამოგვეყენებინა ოლიმპიადაზე და რა მომავლისთვის შემოგვენახა. ტანმოვარჯიშე იზრდება მხოლოდ მაშინ, როცა ახალ, რთულ ელემენტებს აითვისებს. ეს ერთგვარად სუბიექტურად ჟღერს, მაგრამ მე კარგა ხანია დავრწმუნდი ამ „ზრდის კანონის“ ობიექტურობაში. ამასთან, კიდევ ერთხელ გავახსენებთ იაპონელთა ტაქტიკის შესაძლებელ ვარიანტებს. მათ სირთულის მკვეთრი გაზრდა არ უჭირთ. კონტრშეტევისთვის მზად რომ ვიყოთ, ნაკლები მარაგი არც ჩვენ უნდა გვქონდეს.

● **შევძლებთ თუ არა იაპონელ ტანმოვარჯიშეთა დამარცხებას მეხიკოში?**

— შემიძლია ვთქვა მხოლოდ ერთი. მეხიკოს ფიცარნაგზე გამოვა საბჭოთა ტანმოვარჯიშეების ისეთი ძლიერი გუნდი, როგორიც 1956 წელს მელბურნში გამარჯვების შემდეგ არ გვყოლია.

---

# უდუბლიოროდ...

—ის, რაც თქვენ გაინტერესებთ, ახალი საკითხი არ არის. მაგრამ რაკი სიტყვა ჩამოვარდა პრობლემაზე „კინომსახიობი და სპორტი“, რა თქმა უნდა, ჩვენი ინსტიტუტიდან უნდა დავიწყოთ, — მითხრა კინემატოგრაფიის საკავშირო ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდის კათედრის გამგე რ. ბელიაევმა. ბევრი მისი მოწაფე ახლა ცნობილი ფილმების გმირია, ბელიაევისთვის კი ისინი ისევ „სპორტული ბიჭები“ არიან. ინსტიტუტში არავის გაუკვირდება, რომ ერთ მშვენიერ დღეს დერეფანში გაიგონონ ბელიაევის მხიარული შეძახილი— „კაპიტანო, კაპიტანო, მხრებში გაიშალეთ!“ ხოლო ამ სიტყვებზე სპორტული დარბაზის კართან ვიაჩესლავ ტიხონოვი გამოჩნდეს. ჩვენთვის იგი „ომისა და მშვიდობის“, „მიჩმან პანინისა“ და სხვა ფილმების გმირია, ბელიაევისთვის კი, უბრალოდ, სლავა, ერთ დროს ინსტიტუტის კალათბურთელთა ნაკრები გუნდის კაპიტანი.

მე რომ ვიყავი, იმ დღეს ინსტიტუტში არც ერთი კურსდამთავრებული, დღეს ცნობილი კინოვარსკვლავი არ შემხვედრია. დერეფნებში სტუდენტები იდგნენ ჯგუფ-ჯგუფად, ხელში ლექციის კონსპექტები ეჭირათ. წარწერა: „წყნარად, გადაღებაა!“, შეცვალა მეორემ: „გამოცდებია!“ დროებით დადუმებულიყო სპორტული დარბაზიც, რომელსაც ახლა მღებავები დაპატრონებოდნენ. თუმცა დროდადრო სპორტსმენები მაინც შემოდიოდნენ.

— არ ივიწყებთ ფიზკულტურას, სტუდენტებო? — შევნიშნე მე, როცა ორმა ჭაბუკმა თავისუფალი ადგილი ამოირჩია და რამდენიმე აკრობატული ნახტომი გააკეთა.

—ესენი მესამეკურსელები არიან, — მითხრა ბელიაევმა. — ახლა ვარჯიშს არაფერი ურჩევნიათ, სამი წლის წინ კი ახალბედების მთელ ნაკადში ერთს არ ჰქონდა თანრიგი.

ვფიქრობ, ზედმეტია ლაპარაკი, რაოდენ მნიშვნელოვანია ფიზკულტურა მომავალი კინომსახიობისთვის. აბა, უამისოდ სცადეთ და იფარიკავეთ, ცხენი გააჭენეთ, მანქანის საჭეს მიუჯექით, აკრობატული ნახტომი შეასრულეთ, გააკეთეთ ყველაფერი ეს უდუბლიოროდ! აღარას ვამბობ იმაზე, რომ კარგი ფიზიკური წრთობა შემოქმედებითი დღეგრძელობის საწინდარია და უფაქიზესი აქტიორული ხელოვნების დაუფლების ჩინებული გზაა. იცით რატომ მოძრაობენ სცენაზე ასე ლაღად ილინსკი, მაკაროვა, ორლოვა? პირველი, როგორც ცნობილია, ფიგურული ციგურაობის ტრფიალია, მაკაროვა თხილამურებითაა გატაცებული, ორლოვა— ცხენოსნობით.

ჩვენს კათედრაზე, რა თქმა უნდა, ტარდება სასწავლო პროგრამასთან შეთანხმებული მუშაობა, მაგრამ ჩვენ არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ სტუდენტების მომავალი პროფესიის სპეციფიკა. მაგალითად, ფარიკაობას ჩვენთან ერთგვარი სპორტულ-თეატრალური სახე აქვს. მეცადინეობის პროგრამაში შედის ცხენოსნობა. მომავალმა მსახიობებს უნდა გამოუმუშავდეთ ბევრი ისეთი თვისება, რომელიც მათ შემდგომ მუშაობაში გამოადგებათ.

ალბათ მოსკოვის არც ერთ ინსტიტუტში არ არის ძიუ-დოს სექცია, სადაც ქალები ვაჟებზე ნაკლები არ იქნებიან. აქ მეცადინეობას ხელმძღვანელობს სარეჟისორო ფაკულტეტის მესამეკურსელი, ალჟირელი კადური. მას ეკუთვნის „შავი ქამარი“—ძიუ-დოში უმაღლესი ოსტატობის ნიშანი, რომელიც პარიზში აქვს მოპოვებული. კადური განსაკუთრებით აქებს III კურსის სტუდენტს (ბ. ბაბოჩკინის კლასი) ლიუდმილა არტიომოვას. ამ მიმზიდველმა ქალიშვილმა ხალიჩაზე დასვა კადურის ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული მოწაფე.

ლიუდმილა თავის აქტიორულ ხელოვნებას ჯერჯერობით მხოლოდ სასწავლო ფილმებში ცდის. შეიძლება იგი რომელიმე სათავგადასავლო ფილმშიც ვიხილოთ. ჩინებული სპორტული წრთობა ახალგაზრდა მსახიობს დაეხმარება მამაცი ქალის სახის შექმნაში, რომელიც სცენარის მიხედვით ფიზიკურად ძლიერ მტერს უნდა შეებას. აი, იქ გამოადგება მას ალჟირელი მეგობრის გაკვეთილები.

სპორტი მსახიობის მოკავშირე და მეგობარია.

ინსტიტუტში თხუთმეტამდე სპორტული სექცია მუშაობს. მომავალ მუშკეტერებს ამეცადინებს ფერწერის მასწავლებელი ო. გროსე, მოცურავეებს — კინომცოდნეობის ფაკულტეტის მეორეკურსელი ე. რეკერი, მოკრივეებს — საოპერატორო ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი ვ. სიომინი. კინოს მომავალი ოსტატები უკვე რამდენიმე წელია საპრიზო ადგილებზე არიან სსრ კავშირის უმაღლესი თეატრალური და მუსიკალური სასწავლებლების შეჯიბრებებში.

მათთვის ნაყოფიერი იყო შარშანდელი წელიც: მოიგეს ასპარეზობა ფარიკაობაში, მაგიდის ჩოგბურთში, ფრენბურთში, კალათბურთში.

...მღელვარებით ელის გამოცდას საბჭოთა კინოს ისტორიაში მესამეკურსელი ვიკა ფიოდოროვა, სწორედ ის, ასე უშიშარი რომ იყო ფილმში „სულით ძლიერნი“. თუმცა ამ მღელვარებას ვინ არ იცნობს. რამდენიმე წლის წინ შეიძლება სწორედ ამ კარების წინ აღელვებული ფურცლავდა კონსპექტებს ინსტიტუტის ერთ-ერთი საუკეთესო ფრენბურთელი, შემდეგ კი მცირე თეატრის შესანიშნავი მსახიობი, მრავალი პოპულარული ფილმის გმირი რუფინა ნიფონტოვა. შეიძლება ასე ელოდნენ გამოცდას ჟანა პროხორენკო, რომელსაც ბადალი არ ჰყავდა ცურვაში, და საბჭოთა ეკრანის სხვა გამოჩენილი ვარსკვლავები, სტუდენტობაშივე რომ დაუმეგობრდნენ სპორტს.

**ი. არუთიუნიანი.**

---

# სპორტული ლაგოდეხი

„კოლმეურნის“ თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა რაიონულ პირველობაში მონაწილეობდა 55 ათლეტი. წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: თ. ნოზაძე, გ. კაპანაძე, ვ. კოპლამაზაშვილი, ს. ზერიშვილი, გ. გულიაშვილი, ზ. ოქრუაშვილი, ნ. ექვთიმიშვილი.

გაიმართა ზაქათალის რაიონისა (აზერბაიჯანი) და ლაგოდეხის ნაკრები გუნდების ამხანაგური შეხვედრა თავისუფალ ჭიდაობაში. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 13,5:2,5.

* * *

„კოლმეურნის“ რაიონული პირველობა 25 კილომეტრზე ველორბოლაში მოიგო ტ. ავდეენკომ. II ადგილი წილად ხვდა ტ. შიხაშვილს, ხოლო III — ა. კაზანცოვს.

* * *

ერთ თვეს გაგრძელდა რაიონის ფეხბურთელთა პირველობა „ოქროს თავთავის“ თასზე. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ლაგოდეხის კალინინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელისა და სოფელ შრომის ლენინის ანდერძის სახელობის კოლმეურნეობის გუნდები. დაძაბული შეხვედრა მოიგეს შრომელებმა — 3:2.

**ფ. კვირიკაშვილი.**
**(ჩვენი კორ.).**



## ბრძოლა განახლდა

ბელგრადი, 13 მაისი. ამაღამ ს. გლიგორიჩი კარგად გრძნობდა თავს და პროფკავშირების სახლში შედგა ტალთან მისი მატჩის VIII პარტია. ბრძოლას სიმძაფრე არ აკლდა, მაგრამ შეხვედრა ბოლოს დაზავებით დამთავრდა.

მატჩის ანგარიში გახდა 4,5:3,5 ტალის სასარგებლოდ.

## 2 : 1

ამსტერდამი, 13 მაისი. გათამაშდა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა — ვ. კორჩნოისა და ს. რეშევსკის მეოთხედფინალური მატჩის III პარტია. ამერიკელი დიდოსტატი აგრესიულად იყო განწყობილი, მაგრამ კორჩნოის დაცვას კერაფერი მოუხერხა. მეტოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ.

წინაა კორჩნოი — 2:1.

# ჩემპიონია ბ. გურგენიძე

საქართველოს ვაჟთა საჭადრაკო პირველობა ასე დამთავრდა: I. ბ. გურგენიძე — 11,5, II-IV. თ. ლომაია, ა. ბოკუჩავა, ზ. მიქაძე — 11-11, V-VI. რ. ჯინჯიხაშვილი, ე. უბილავა — 10-10, VII. თ. გიორგაძე — 8, VIII-IX. გ. კალატოზიშვილი, გ. მუკნიაშვილი (გორი) — 7,5-7,5, X. ს. მეგრელიშვილი — 7, XI-XII. გ. მაჟავარიანი, ა. ბრეიტმანი (ტყვარჩელი) — 6,5-6,5, XIII. მ. არჩვაძე (სამტრედია) — 5, XIV-XV. თ. დეკანოზიშვილი, ა. წერეთელი — 3-3, XVI. შ. თოთლაძე (გორი) — 1,5.

გადადებული პარტიების დამთავრება. XIII ტურის: დეკანოზიშვილი — გიორგაძე 0,5:0,5, წერეთელი — მუკნიაშვილი 0:1, მიქაძე — უბილავა 0:1, არჩვაძე — ბრეიტმანი 0,5:0,5; XIV ტურის: ჯინჯიხაშვილი — ლომაია 1:0, უბილავა — გურგენიძე 0:1, მუკნიაშვილი — მიქაძე 0:1, თოთლაძე — დეკანოზიშვილი 0,5:0,5.

— აქ შამათია სამ სვლაში, — თქვა მუკნიაშვილმა და მიქაძესთან თამაშის განუახლებლად დათმო პარტია. ეს შამათი მხოლოდ საშინაო ანალიზის დროს გახდა ცნობილი.

ჯინჯიხაშვილმა უზუსტესი სვლებით გაიმარჯვა ლომაიასთან.

ჩვეულებრივ, ლაზიერების ენდშპილი ყაიმით მთავრდება, მაგრამ უბილავა მიქაძესთან დიდი მოთმინებით თამაშობდა მოგებისთვის. როცა ლაზიერების ერთი წყვილი გაიცვალა, მეტოქეებმა მეორე „გააცოცხლეს". ბრძოლაც უფრო გამძაფრდა. რადგან კიდევ ერთი ლაზიერის გამოჩენა გარდუვალი იყო, მიქაძემ დათმო პარტია. ეს მისი პირველი მარცხია. ტურნირში დაუმარცხებელი არავინ დარჩა.

თამაშის განახლებისას გამოირკვა, რომ უბილავას კომბინაცია გურგენიძესთან პარტიაში მცდარი ყოფილა. ეს გურგენიძემ დამაჯერებლად დაამტკიცა.

XV ტური. დეკანოზიშვილი — ბოკუჩავა 0:1, არჩვაძე — თოთლაძე 1:0, კალატოზიშვილი — გიორგაძე 0:1, წერეთელი — ბრეიტმანი 0:1, მიქაძე — მეგრელიშვილი 0,5:0,5, გურგენიძე — მუკნიაშვილი 1:0, ლომაია — უბილავა 0:1, მაჟავარიანი — ჯინჯიხაშვილი 1:0.

გამარჯვების ყველაზე მეტი შანსი ჰქონდათ ჯერ ლომაიას, მერე გურგენიძესა და მიქაძეს. როგორც ჩანს, მიქაძე საპრიზო ადგილითაც კმაყოფილი იყო, რაკი უკვე მე-16 სვლაზე მეტოქეს ყაიმზე შეუთანხმდა.

საინტერესო იყო ლომაიასა და გურგენიძის პარტიები. უბილავა და მუკნიაშვილი ტოლს არ უდებდნენ გამოცდილ მეტოქეებს. გურგენიძემ აქტიურად განალაგა ფიგურები და იერიშისთვის მზადება დაიწყო. მუკნიაშვილის პოზიციის აისუსტე მხოლოდ ენდშპილში გადასვლისას გამოაშკარავდა. ოსტატმა ვირტუოზულად წარმართა იერიში და გაიმარჯვა. ეს პარტია ყველა დიდ ტურნირს დაამშვენებდა.

ლომაიას ხელს აძლევდა მხოლოდ მოგება. ყაიმი გურგენიძესთან დამატებით მატჩს ნიშნავდა და ამიტომ იგი შეუპოვრად იბრძოდა გამარჯვებისთვის. უბილავა, რომელიც შესანიშნავად თამაშობს, ამ დღესაც „დაუნდობელი" იყო. ძალზე რთულ პოზიციაში ლომაიამ მხედარი შესწირა, რითაც უკანდახევის გზები მოისპო. მხოლოდ ანალიზს შეუძლია ცხადყოს, რამდენად სწორი იყო ეს კომბინაცია. პარტიაში უბილავამ ლომაიას განზრახვა ჩაუფუშა და მოიგო.

II ადგილის გაყოფის რეალური შანსი დაკარგა ჯინჯიხაშვილმა. იგი სათამაშოდ არ გამოცხადდა და, არსებული წესის შესაბამისად, წაგება მიეცა.

პირველობა დამთავრდა. გურგენიძემ მეცხრედ მოიპოვა საქართველოს ჩემპიონის სახელი. მისი თამაში გამოირჩეოდა პოზიციის ღრმა გაგებით, თავდაჭერილობით და ენდშპილში მაღალი ტექნიკით.

ქებას იმსახურებს ლომაია. რა დასამალია, ფინიშზე რომ ზედიზედ ორი პარტია არ წაეგო, ჩემპიონი იგი უნდა ყოფილიყო. მაგრამ ლომაია მაინც ჭეშმარიტი მებრძოლი აღმოჩნდა, მაშინაც კი, როცა ყაიმი (უბილავასთან) პირველ ადგილს გააყოფინებდა, იგი ვაჟკაცურად თამაშობდა მოგებისთვის.

მისასალმებელია ბოკუჩავასა და მიქაძის წარმატება. თუ ბოკუჩავასგან ამ მიღწევას დიდი ხანია ველით, მიქაძის კარგი თამაში სასიამოვნო მოულოდნელობაა. მეტი სითამამე რომ ჰქონდეს, ახალგაზრდა მოჭადრაკე ალბათ მეტს მიაღწევს.

როგორც ცნობილია, პირველობის სამი პრიზიორი წლეულს სსრ კავშირის ჩემპიონატის ნახევარფინალში მიიღებს მონაწილეობას. ვინ გავა გურგენიძესთან ერთად ნახევარფინალში, ლომაიას, ბოკუჩავასა და მიქაძის ორწრიან მატჩ-ტურნირში გაირკვევა.

გულშემატკივრები უკმაყოფილონი არიან ჯინჯიხაშვილისა და გიორგაძის თამაშით. ამ ტურნირში მათ შეუპოვრობა, სიბეჯითე და მიზანდასახულობა აკლდათ. ჯინჯიხაშვილის კლასის ოსტატს არ ეპატიება უხეში შეცდომები, რომლებიც მან დაუშვა, მაგალითად, თოთლაძესა და მიქაძესთან. ვერ მოვიწონებთ გიორგაძის ზერელე თამაშს (მაგალითად, მუკნიაშვილთან, არჩვაძესთან). ეს ოსტატები უახლოეს ხანში სტუდენტთა მსოფლიო გუნდურ პირველობაში (ავსტრია) მიიღებენ მონაწილეობას და თუნდაც ამიტომ მეტი დაკვირვება და მონდომება მართებთ.

პირველობის გმირი გახლდათ 18 წლის მოჭადრაკე უბილავა, რომელმაც სტარტზე ოთხი წაგების შემდეგ მომდევნო 10 პარტიაში 9 მოიგო!

ახალბედებიდან აღსანიშნავია სამტრედიელი არჩვაძე.

პირველობის სპორტული შედეგები უკვე ისტორიის კუთვნილებაა, ჩვენ კი უახლოეს ხანში მის შემოქმედებით მხარეზე ვისაუბრებთ.

თ. გიორგაძე.

# მსოფლიოს, სსრ კავშირისა და საქართველოს რეკორდები

## ძალოსნობა

მდგომარეობა 14 მაისისთვის

### აჭიმვა

| | | | |
|---|---|---|---|
| მჩატე წონა (56 კგ-მდე) | 124 | ი. ფიოლდი (უნგრეთი) | 1968 |
| | 117 | ვ. კრიშჩიშინი (ლვოვი) | 1967 |
| | 105,5 | ა. ჭოლოკიანი (სოხუმი) | 1968 |
| ქვემსუბუქი (60 კგ-მდე) | 130,5 | ი. ფიოლდი (უნგრეთი) | 1966 |
| | 126,5 | ს. ულიანოვი (ალმა-ათა) | 1965 |
| | 115,5 | დ. შანიძე (თბილისი) | 1967 |
| მსუბუქი (67,5 კგ-მდე) | 145,5 | ე. კაცურა (სსრ კავშირი) | 1966 |
| | 145,5 | ე. კაცურა (მოსკოვი) | 1966 |
| | 120,5 | რ. ოვანესიანი (თბილისი) | 1965 |
| ქვესაშუალო (75 კგ-მდე) | 160,5 | ვ. კურენცოვი (სსრ კავშირი) | 1967 |
| | 160,5 | ვ. კურენცოვი (მოსკოვი) | 1967 |
| | 136,5 | ვ. ხვინჩენკო (თბილისი) | 1965 |
| საშუალო (82,5 კგ-მდე) | 165,5 | ნ. ხოროშაევი (სსრ კავშირი) | 1967 |
| | 165,5 | ნ. ხოროშაევი (როსტოვი) | 1967 |
| | 155 | გ. კოჩიევი (თბილისი) | 1966 |
| ქვემძიმე (90 კგ-მდე) | 171,5 | ვ. გოლოვანოვი (სსრკ) | 1968 |
| | 171,5 | ვ. გოლოვანოვი (ხაბაროვსკი) | 1968 |
| | 155 | ო. დემუროვი (თბილისი) | 1968 |
| მძიმე (102,5 კგ-მდე) | | არ აღინუსხება | |
| | 180 | ნ. მირონენკო (მოსკოვი) | 1968 |
| | 171 | ა. ჭეჭელავა (ცხაკაია) | 1968 |
| ზემძიმე (102,5 კგ-ს ზევით) | 204,5 | რ. ბედნარსკი (აშშ) | 1968 |
| | 201,5 | ლ. ჟაბოტინსკი (ზაპოროჟიე) | 1967 |
| | 175,5 | მ. კალაშიანი (თბილისი) | 1965 |

### ატაცი

| | | | |
|---|---|---|---|
| მჩატე | 118 | მიკე (იაპონია) | 1967 |
| | 111 | ა. ვახონინი (შახტი) | 1968 |
| | 102,5 | რ. დათიკაშვილი (თბილისი) | 1959 |
| ქვემსუბუქი | 125 | ი. მიაკე (იაპონია) | 1967 |
| | 118 | დ. შანიძე (თბილისი) | 1968 |
| | 118 | დ. შანიძე (თბილისი) | 1968 |
| მსუბუქი | 135,5 | ვ. ბაშანოვსკი (პოლონეთი) | 1967 |
| | 133 | ს. ლოპატინი (მოსკოვი) | 1965 |
| | 110,5 | ი. ინჯგია (თბილისი) | 1962 |
| ქვესაშუალო | 142,5 | ხ. ოუტი (იაპონია) | 1965 |
| | 142 | ი. ნაზაროვი (შახტი) | 1967 |
| | 126 | რ. გახპარიანი (თბილისი) | 1967 |
| საშუალო | 150,5 | ვ. ბელიაევი (სსრ კავშირი) | 1968 |
| | 150,5 | ვ. ბელიაევი (კიევი) | 1968 |
| | 132,5 | ო. დემუროვი (თბილისი) | 1967 |
| ქვემძიმე | 153 | ი. ტალტსი (სსრ კავშირი) | 1968 |
| | 153 | ი. ტალტსი (ტალინი) | 1968 |
| | 135 | ო. დემუროვი (თბილისი) | 1968 |
| მძიმე | | არ აღინუსხება | |
| | 152,5 | ა. ჭეჭელავა (ცხაკაია) | 1967 |
| | 152,5 | ა. ჭეჭელავა (ცხაკაია) | 1967 |
| ზემძიმე | 175,5 | ლ. ჟაბოტინსკი (სსრ კავშირი) | 1967 |
| | 175,5 | ლ. ჟაბოტინსკი (ზაპოროჟიე) | 1967 |
| | 137,5 | ა. ჭეჭელავა (ცხაკაია) | 1965 |

### აკვრა

| | | | |
|---|---|---|---|
| მჩატე | 146,5 | მ. ნასირი (ირანი) | 1968 |
| | 144 | ა. ვახონინი (შახტი) | 1967 |
| | 125 | რ. დათიკაშვილი (თბილისი) | 1963 |
| ქვემსუბუქი | 152,5 | ი. ბერგერი (აშშ) | 1964 |
| | 151 | დ. შანიძე (თბილისი) | 1967 |
| | 151 | დ. შანიძე (თბილისი) | 1967 |
| მსუბუქი | 170 | ვ. ბაშანოვსკი (პოლონეთი) | 1967 |
| | 168,5 | ვ. კაპლუნოვი (ხაბაროვსკი) | 1965 |
| | 148 | დ. შანიძე (თბილისი) | 1968 |
| ქვესაშუალო | 183 | ვ. კურენცოვი (სსრ კავშირი) | 1967 |
| | 183 | ვ. კურენცოვი (მოსკოვი) | 1967 |
| | 171,5 | გ. კოჩიევი (თბილისი) | 1963 |
| საშუალო | 190 | დ. ვერეში (უნგრეთი) | 1966 |
| | 190 | ვ. ბელიაევი (კიევი) | 1966 |
| | 184,5 | გ. კოჩიევი (თბილისი) | 1966 |
| ქვემძიმე | 196,5 | ი. ტალტსი (სსრ კავშირი) | 1968 |
| | 196,5 | ი. ტალტსი (ტალინი) | 1968 |
| | 177,5 | გ. კოჩიევი (თბილისი) | 1966 |
| მძიმე | | არ აღინუსხება | |
| | 192 | ი. იაბლონოვსკი (ლუგანსკი) | 1967 |
| | 190 | ა. ჭეჭელავა (ცხაკაია) | 1967 |
| ზემძიმე | 219 | ლ. ჟაბოტინსკი (სსრ კავშირი) | 1967 |
| | 219 | ლ. ჟაბოტინსკი (ზაპოროჟიე) | 1967 |
| | 182,5 | მ. კალაშიანი (თბილისი) | 1967 |

### სამჭიდი

| | | | |
|---|---|---|---|
| მჩატე | 365 | ი. ფიოლდი (უნგრეთი) | 1965 |
| | 362,5 | ა. ვახონინი (შახტი) | 1966 |
| | 317,5 | რ. დათიკაშვილი (თბილისი) | 1963 |
| ქვემსუბუქი | 397,5 | ი. მიაკე (იაპონია) | 1964 |
| | 382,5 | დ. შანიძე (თბილისი) | 1968 |
| | 382,5 | დ. შანიძე (თბილისი) | 1968 |
| მსუბუქი | 440 | ვ. ბაშანოვსკი (პოლონეთი) | 1967 |
| | 437,5 | ე. კაცურა (მოსკოვი) | 1966 |
| | 367,5 | დ. შანიძე (თბილისი) | 1968 |
| ქვესაშუალო | 472,5 | ვ. კურენცოვი (სსრ კავშირი) | 1968 |
| | 472,5 | ვ. კურენცოვი (მოსკოვი) | 1968 |
| | 415 | გ. კოჩიევი (თბილისი) | 1963 |
| საშუალო | 485 | ვ. ბელიაევი (სსრ კავშირი) | 1966 |
| | 485 | ვ. ბელიაევი (კიევი) | 1966 |
| | 470 | გ. კოჩიევი (თბილისი) | 1967 |
| ქვემძიმე | 510 | ი. ტალტსი (სსრ კავშირი) | 1968 |
| | 510 | ი. ტალტსი (ტალინი) | 1968 |
| | 460 | ო. დემუროვი (თბილისი) | 1968 |
| მძიმე | | არ აღინუსხება | |
| | 505 | ნ. იაშჩენოკი (ოდესა) | 1968 |
| | 487,5 | ა. ჭეჭელავა (ცხაკაია) | 1967 |
| ზემძიმე | 590 | ლ. ჟაბოტინსკი (სსრ კავშირი) | 1967 |
| | 590 | ლ. ჟაბოტინსკი (ზაპოროჟიე) | 1967 |
| | 495 | ა. ჭეჭელავა (ცხაკაია) | 1967 |

*დღეს ლუგანსკში იწყება სსრ კავშირის ჩემპიონატი ძალოსნობაში. ეს შეჯიბრება იმითაა განსაკუთრებული, რომ სამჭიდის ცალკეულ სახეობებში გამარჯვებულნი პირველად დაჯილდოვდებიან ოქროს მცირე მედლებით. უძლიერესი ათლეტები ჩემპიონის ოქროს მედლისთვის და მეხიკოს ოლიმპიური თამაშების საგზურისთვის დაიწყებენ ბრძოლას. აქ უნდა დადგინდეს იმ სპორტსმენების ძირითადი ბირთვი, რომლებიც ივნისში ლენინგრადში იასპარეზებენ კონტინენტის პირველობისთვის.*

*ცხრილის ერთი თვალის გადავლებითაც ნათელია, რომ მსოფლიო რეკორდების უმრავლესობა საბჭოთა ათლეტებს ეკუთვნით. უძლიერეს ათლეტთა ჯგუფში ჯერჯერობით ჩვენი რესპუბლიკის არც ერთი წარმომადგენელი არ არის, მაგრამ საკავშირო რეკორდების ცხრილში უკვე გამოჩნდნენ პირველი მერცხლები დ. შანიძისა და ა. ჭეჭელავას სახით. ისინი ლუგანსკშიც ცდიან ბედს და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ წარმატებას მოიპოვებენ. შანიძემ ბევრჯერ მიიტანა იერიში ბერგერის მსოფლიო რეკორდზე აკვრაში, რამდენიმეჯერ ახლოც იყო მიზანთან, მაგრამ... რეკორდი ჯერჯერობით უცვლელია.*

*მკითხველი ალბათ იმასაც შენიშნავს, რომ მსოფლიოში ყველაზე ღონიერი კაცის ლ. ჟაბოტინსკის აბსოლუტურ რეკორდებს სამჭიდის ყოველ სახეობაში ბზარი გაუჩნდა: ამერიკელმა ბედნარსკიმ 3 კილოგრამით გააუმჯობესა მისი მიღწევა აჭიმვაში და საერთოდ, უკვე გამოჩნდნენ ათლეტები, რომლებიც სერიოზულად ფიქრობენ ჟაბოტინსკის ჰეგემონიის შერყევას სამჭიდის ჯამშიც. პრესაში გამოჩნდა ცნობა, რომ ჟაბოტინსკი შესანიშნავ ფორმაშია და აპირებს შეუპოვარი ბრძოლა გამოუცხადოს უცხოელ მეტოქეებს.*

*ერთი სიტყვით, ლუგანსკში საინტერესო ბრძოლა გაჩაღდება. ძალოსნობის მოყვარულებს მოსაწყენად არ ეცლებათ.*

## მეტი შეუპოვრობა, ქალიშვილებო!

ქალთა საერთაშორისო ტურნირში 2 ტურის შემდეგ ლიდერობენ: ე. კაკაბაძე, ქ. სკეგინა (მოსკოვის ოლქი) — 2-2, ტ. ზატულოვსკაია (ბაქო), ქ. ერეტოვა (ჩეხოსლოვაკია), ა. ჩაიკოვსკაია, ც. კობაიძე — 1,5-1,5.

II ტური. სკეგინა — მ. სანაძე 1:0, ო. ხუგაშვილი — ზატულოვსკაია 0:1, ჩაიკოვსკაია — ე. ნიუნჰერტი (გდრ) 0,5:0,5, ე. პოლიქრონიადე (რუმინეთი) — უ. ვერეცი (უნგრეთი) 0,5:0,5, ც. კახაბრიშვილი — კაკაბაძე 0:1, ქ. რაძიკოვსკა (პოლონეთი) — ერეტოვა 0:1, ნ. ხუბულური — კობაიძე 0,5:0,5.

გადადებული პარტიების დამთავრება. I ტურის: კობაიძე — ალექსანდრია 1:0, II ტურის: ალექსანდრია — კ. ვრეკენი (ჰოლანდია) 0,5:0,5.

ვინც თამაშობს, იგი ცდება კიდეც. მაგრამ შეცდომაც არის და შეცდომაც. ალექსანდრიასა და ჩაიკოვსკაიას შეცდომები უწყვეტი და არაბუნებრივი იყო.

ალექსანდრიამ კარგად წარმართა თამაში და უპირატესობაც მოიპოვა. ვრეკენი მხოლოდ დაცვაზე ფიქრობდა, როცა თბილისელმა სტუდენტმა... ფიგურა „მიართვა". მოულოდნელობისგან ჰოლანდიელი მოჭადრაკე დაიბნა და უსწოროდ ითამაშა. მან მხოლოდ მცირე უპირატესობა (ეტლსა და პაიკში ორი ფიგურა) მოიპოვა. ალექსანდრიამ დიდი შრომისა და ნერვიულობის ფასად მიაღწია ყაიმს.

თითქმის იგივე გამეორდა ჩაიკოვსკაიასა და ნიუნჰერტის შეხვედრაში. უკეთეს პოზიციაში ჩაიკოვსკაია დაინტერესდა... მეზობლის თამაშით და ფიგურა წააგო. ბოლოს ჩაიკოვსკაიას ბედმა გაუღიმა: გერმანელმა ოსტატმა ჯეროვნად ვერ შეაფასა თავისი უპირატესობა (მხედარი ორ პაიკში) და ყაიმს დასჯერდა.

სხვათა შორის, ამ ბოლო დროს ჩვენი მოჭადრაკეები (რა თქმა უნდა, ზოგიერთები) სცენაზე სიარულსა და ბაასს მეტ დროს ანდომებენ, ვიდრე ჭადრაკის დაფასთან ჯდომას და ფიქრს. ამიტომაც გახშირდა უხეში შეცდომები.

ამ მხრივ ყველასთვის სამაგალითოა კაკაბაძე. იგი თითქმის არასოდეს არ ტოვებს მაგიდას, ვიდრე პოზიცია ნათელი არ გახდება. ქართველი მოჭადრაკე ბრძოლაშიც ძალზე შეუპოვარია. კახაბრიშვილთან მან დიდხანს ვერ მოიპოვა საგრძნობი უპირატესობა, მაგრამ როგორც კი საქართველოს ჩემპიონის ერთი პაიკი ცენტრალურ ხაზზე აღმოჩნდა, კაკაბაძემ მყისვე შეუტია. ახალგაზრდა მოჭადრაკემ ამაოდ მოიწადინა თამაშის გართულება მხედრის შეწირვით. კაკაბაძემ ზუსტი სვლებით დაიმორჩილა მეტოქის მეფე.

## სსრ კავშირის პირველობა

### მატჩები, გოლები, ქულები

12 მაისს შედგა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის 2 მატჩი უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის.

**3:0**

მოსკოვის ტორპედოელებმა მიიღეს ალმა-ათის „კაირატი“ და მოიპოვეს გამარჯვება ანგარიშით 3:0. ბურთები გაიტანეს სავჩენკომ, გერშკოვიჩმა და ლენიოვმა.

**2:0**

კუიბიშევში თამაშობდნენ ადგილობრივი „კრილია სოვეტოვი“ და ტაშკენტის „პახტაკორი“. გამარჯვება წილად ხვდათ კუიბიშეველებს — 2:0. გოლების ავტორები არიან არიაპოვი და ვერბოვსკი.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 14 მაისისათვის

I ლიგა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ტორპედო“ (მოსკოვი) | 9 | 4 | 3 | 2 | 12—6 | 11 |
| „სპარტაკი“ (მოსკოვი) | 7 | 4 | 3 | 0 | 11—5 | 11 |
| „დინამო“ (კიევი) | 8 | 3 | 5 | 0 | 9—4 | 11 |
| „კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი) | 8 | 4 | 3 | 1 | 7—3 | 11 |
| „ნეფტჩი“ (ბაქო) | 7 | 4 | 1 | 2 | 8—2 | 9 |
| „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) | 7 | 4 | 1 | 2 | 11—7 | 9 |
| ცსკა | 7 | 2 | 5 | 0 | 7—4 | 9 |
| „ზარია“ (ლუგანსკი) | 8 | 3 | 3 | 2 | 6—7 | 9 |
| „დინამო“ (მინსკი) | 7 | 3 | 2 | 2 | 6—3 | 8 |
| „დინამო“ (თბილისი) | 7 | 3 | 2 | 2 | 5—3 | 8 |
| „ზენიტი“ (ლენინგრადი) | 7 | 1 | 5 | 1 | 7—6 | 7 |
| „დინამო“ (მოსკოვი) | 8 | 2 | 3 | 3 | 6—7 | 7 |
| „შახტიორი“ (დონეცკი) | 7 | 2 | 3 | 2 | 5—7 | 7 |
| „ჩერნომორეცი“ (ოდესა) | 7 | 1 | 4 | 2 | 8—10 | 6 |
| „არარატი“ (ერევანი) | 7 | 1 | 3 | 3 | 5—7 | 5 |
| „კაირატი“ (ალმა-ათა) | 8 | 2 | 1 | 5 | 6—10 | 5 |
| „ტორპედო“ (ქუთაისი) | 8 | 2 | 1 | 5 | 8—14 | 5 |
| „პახტაკორი“ (ტაშკენტი) | 9 | 0 | 5 | 4 | 6—15 | 5 |
| „დინამო“ (კიროვაბადი) | 7 | 1 | 2 | 4 | 2—8 | 4 |
| ასკ (როსტოვი) | 7 | 0 | 3 | 4 | 7—14 | 3 |



## უღიმღამო მატჩი

თბილისი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. 11 მაისი.

„ლოკომოტივი“ (თბილისი) — „ფოლადი“ (სუმგაითი) 0:0.

„ლოკომოტივი“: ბერიძე, პანოვი (მირიანაშვილი), ონიანი, ფრიდმანი, გეგეჭკორი, ძაგანია, შხვაცაბაია, ჰელიძე (ბახტაძე), მაზიაშვილი, მესხაძე, მელიქიძე.

„ფოლადი“: დარვინი (ზახაროვი), ბაგიროვი, შჩერბინი, ჯალილოვი, ივჩენკო, ნამაზოვი, ფედორცოვი, ველიხანოვი, მამედოვი (ბურინი), ს. მანაშეროვი, ვ. მანაშეროვი.

მსაჯი მ. რაფალოვი (მოსკოვი).

უხეიროდ ჩატარებული გასვლითი მატჩებისა და საკუთარ მინდორზე ტაგანროგის „ტორპედოსთან“ წაგების შემდეგ თბილისის „ლოკომოტივის“ ფეხბურთელები თითქოს შერყეული რეპუტაციის აღდგენას უნდა ცდილიყვნენ, მაგრამ ამ მატჩმაც უსიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა.

თამაშის პირველი ნახევარი ძირითადად მინდვრის ცენტრში მიმდინარეობდა და თავდამსხმელთა ეპიზოდური შეტევები, როგორც წესი, უზუსტო დარტყმების შედეგად მიზანს ვერ აღწევდა.

არსებითად მდგომარეობა არც შესვენების შემდეგ შეცვლილა: ისევ უზუსტო დარტყმები კარში, თავდამსხმელთა უთავბოლო გადაადგილებანი, მოჩვენებითი ფაციფუცი. 50-ე წუთზე მაზიაშვილმა „მოახერხა“, რომ ცარიელი კარისთვის აეცდინა ბურთი. 5 წუთის შემდეგ ძაგანიამ კარგად დაარტყა საჯარიმო და მეკარის თავგანწირულმა ნახტომმა იხსნა კარი გოლისგან. 2 წუთის შემდეგ მასპინძელთა კარი ძელმა იხსნა. თამაშის დამთავრებას 4 წუთი აკლდა, როცა მელიქიძემ ახლო მანძილიდან ააცდინა კარს, ხოლო მსაჯის სასტვენამდე ცოტა ხნით ადრე მაზიაშვილმა ხუთიოდე მეტრიდან პირდაპირ ხელებში მისცა ბურთი სტუმრების მეკარეს.

ასეთი თამაშით რკინიგზელები შორს ვერ წავლენ. სანამ გვიან არ არის, გუნდის ხელმძღვანელობამ სათანადო დასკვნები უნდა გამოიტანოს.

ა. ცეხანელი.

II ლიგა

## სხვა თამაშები

გაიმართა მორიგი ტურის მატჩები სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ა“ კლასის II ჯგუფის III ქვეჯგუფის გუნდებს შორის.

ბათუმის დინამოელები ტაგანროგში შეხვდნენ ადგილობრივ „ტორპედოს“ და აიღეს ქულა — 0:0. ტყიბულის „მეშახტემ“ დამარცხება განიცადა გროზნოში, სადაც თვა ეთამაშებოდა ადგილობრივ „თერგს“ — 1:2.

სხვა შეხვედრათა შედეგები ასეთია: „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) — „შირაკი“ (ლენინაკანი) 2:0, „ვოლგა“ (ულიანოვსკი) — „ზვეზდა“ (პერმი) 1:0, „ტრაქტორი“ (ვოლგოგრადი) — „ზენიტი“ (იჟევსკი) 2:1, „ვოლგარი“ (ასტრახანი) — „სტროიტელი“ (უფა) 2:2, „ვოლგა“(გორკი) —„მეტალურგი“ (მაგნიტოგორსკი) 1:0, „სპარტაკი“ (იოშკარ-ოლა) — „ლოკომოტივი“ (ჩელიაბინსკი) 0:1, „რუბინი“ (ყაზანი) — „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) 0:0.

## საქართველოს ჩემპიონატი

ჩატარდა მორიგი ტურის მატჩები საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში.

● „სულორი“ (ვანი) — „აერო“ (გალი) 1:0. მსაჯი ლ. ჯოხაძე (ხაშური).

თამაში მიმდინარეობდა თანაბარ ბრძოლაში. უშედეგოდ დამთავრებული პირველი ტაიმის შემდეგ მასპინძლებმა მოუმატეს ტემპს და ჩახუნაშვილის მიერ გატანილი გოლის წყალობით მიაღწიეს გამარჯვებას.

● „ქართლი“ (გორის რაიონი)— „არაგვი“ (მცხეთა) 0:1. მსაჯი გ. გელაშვილი (თბილისი).

● ასკ (თბილისი) — „ბახმარო“ (ჩოხატაური) 7:1. მსაჯი ნ. კონდახსაზოვი (თბილისი).

მართალია, არმიელებს უპირატესობა თავიდანვე ჰქონდათ, მაგრამ მატჩის პირველი ნახევარი მათ მხოლოდ ანგარიშით 2:0 მოიგეს. გუნდის თავდამსხმელებმა განსაკუთრებით ძლიერად ჩაატარეს მეორე ტაიმი და „ბახმარომ“ დიდი ანგარიშით წააგო შეხვედრა.

● „ფეიქარი“ (წულუკიძე) — „ისანი“ (თბილისი) 0:0. მსაჯი ნ. ტატანაშვილი (თბილისი).

მასპინძლებს მატჩის მსვლელობაში რამდენიმე შესაძლებლობა ჰქონდათ მიეღწიათ წარმატებისთვის, მაგრამ კარში უზუსტო დარტყმების გამო ანგარიში არ გახსნილა — 0:0.

● „მშენებელი“ (სიღნაღი) — „სამცხე“ (აწყური) 3:3. მსაჯი ა. მკუასელი (თბილისი).

მატჩი „უხვმოსავლიანი“ გამოდგა, თუმცა პირველი ტაიმი უშედეგოდ დამთავრდა. სიღნაღელები დაწინაურდნენ მეორე ტაიმში და როცა ანგარიში იყო 3:1 მათ სასარგებლოდ, აწყურელებმა შეძლეს გარდატეხის შეტანა თამაშში. მათი ენერგიული შეტევების შემდეგ ანგარიში გათანაბრდა — 3:3.

● „ნარინჯი“ (ბათუმის რაიონი) — „ლაითური“ (მახარაძე) 1:0. მსაჯი გ. პოღოსიანი (სოხუმი).

● „გარეჯი“ (საგარეჯო) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 0:0. მსაჯი თ. გრიგორაშვილი (თბილისი).

თამაში საინტერესოდ მიმდინარეობდა და სახიფათო მომენტები ხშირად იქმნებოდა ორივე გუნდის კართან. მხოლოდ იმის გამო, რომ თავდამსხმელები ჩქარობდნენ და იბნეოდნენ გადამწყვეტ მომენტებში, ანგარიში ამ მატჩში არ გახსნილა.

● „სპარტაკი“ (ბორჯომი) — „კოლმეურნე“ (წალენჯიხა) 2:1. მსაჯი მ. ხუტაბა (სოხუმი).

● „ლოკომოტივი“ (სამტრედია) — „დურუჯი“ (ყვარელი) 1:1. მსაჯი ვ. ჩიბურდანიძე (ბათუმი).

● ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „სინათლე“ (თბილისი) 2:0. მსაჯი კ. ყრუაშვილი (თბილისი).

ანგარიში მე-17 წუთზე გახსნა აფხაზავამ. სტუდენტებს შემდგომშიც არ გაუშვიათ ხელიდან ინიციატივა და იმავე აფხაზავამ მეორე ბურთი გაგზავნა „სინათლის“ კარში — 2:0.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 10 მაისისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი“ (ბორჯომი) | 10 | 6 | 4 | 0 | 20—10 | 16 |
| ასკ (თბილისი) | 11 | 5 | 5 | 1 | 25—7 | 15 |
| „ლოკომოტივი“ (სამტრედია) | 11 | 6 | 3 | 2 | 14—8 | 15 |
| „აერო“ (გალი) | 12 | 6 | 3 | 3 | 16—14 | 15 |
| „სულორი“ (ვანი) | 12 | 6 | 3 | 3 | 13—11 | 15 |
| „ფეიქარი“ (წულუკიძე) | 12 | 5 | 4 | 3 | 17—17 | 14 |
| „კოლხეთი“ (ცხაკაია) | 10 | 4 | 5 | 1 | 21—9 | 13 |
| ფიზკულტურის ინსტ. (თბილისი) | 10 | 5 | 3 | 2 | 16—9 | 13 |
| „მეტალურგი“ (ზესტაფონი) | 11 | 4 | 5 | 2 | 13—8 | 13 |
| „სინათლე“ (თბილისი) | 10 | 5 | 3 | 2 | 10—6 | 13 |
| „დურუჯი“ (ყვარელი) | 9 | 5 | 2 | 2 | 16—7 | 12 |
| „მშენებელი“ (სიღნაღი) | 10 | 3 | 4 | 3 | 11—14 | 10 |
| „ნარინჯი“ (ბათუმის რაიონი) | 11 | 3 | 3 | 5 | 9—15 | 9 |
| „გარეჯი“ (საგარეჯო) | 11 | 3 | 2 | 6 | 10—19 | 8 |
| „ისანი“ (თბილისი) | 12 | 2 | 4 | 6 | 9—21 | 8 |
| „ლაითური“ (მახარაძე) | 11 | 2 | 3 | 6 | 10—15 | 7 |
| „არაგვი“ (მცხეთა) | 8 | 3 | 0 | 5 | 8—10 | 6 |
| „სამცხე“ (აწყური) | 8 | 1 | 4 | 3 | 10—12 | 6 |
| „მესხეთი“ (ახალციხე) | 6 | 2 | 1 | 3 | 7—11 | 5 |
| „კოლმეურნე“ (წალენჯიხა) | 9 | 1 | 3 | 5 | 7—18 | 5 |
| „ბახმარო“ (ჩოხატაური) | 10 | 1 | 2 | 7 | 7—20 | 4 |
| „ქართლი“ (გორის რაიონი) | 10 | 0 | 2 | 8 | 1—15 | 2 |

## მოზარდთა ტურნირი

გრძელდება „ა“ და „ბ“ კლასების კოლექტივებთან არსებული მოსამზადებელი ჯგუფების რესპუბლიკური ტურნირი ფეხბურთში.

I ზონა. „დინამო“ (თბილისი) — განათლების განყოფილება (თბილისი) 1:1, „ალაზანი“ (გურჯაანი) — ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თბილისი) 0:5, „სპარტაკი“ (ცხინვალი) — „ლოკომოტივი“ (თბილისი) 0:3, „დილა“ (გორი) — მწვრთნელთა სკოლა (თბილისი) 0:1, „ქარიშხალი“ (თბილისი) — „შრომითი რეზერვები“ (თბილისი) 3:0.

II ზონა. „მაღაროელი“ (ჭიათურა) — „დინამო“ (ბათუმი) 2:1, „ტორპედო“ (ქუთაისი) — „მერცხალი“ (მახარაძე) 2:0, „დინამო“ (სოხუმი) — ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (გაგრა) 1:1, „კოლხეთი“ (ფოთი) — „გურია“ (ლანჩხუთი) 1:0.

ცალკე გვინდა აღვნიშნოთ ტყიბულის „მეშახტისა“ და ქობულეთის „შუქურას“ შეხვედრა. ტყიბულელებმა საკუთარ მინდორზე ვერ შეძლეს სრულად დაკომპლექტებული გუნდის გამოყვანა (მათ მხოლოდ 7 მოთამაშე ჰყავდათ), რისთვისაც გუნდს ჩაეთვალა დამარცხება.

## უცხოეთის ამბები

რიო-დე-ჟანეირო, 12 მაისი. 10 წლის წინათ ბრაზილიელმა ფეხბურთელებმა მსოფლიო ჩემპიონობა მოიხვეჭეს შვეციაში. ამ გამარჯვების აღსანიშნავად 15 ნოემბერს რიო-დე-ჟანეიროში გაიმართება საინტერესო მატჩი: ბრაზილიის ნაკრები — მსოფლიოს „ვარსკვლავთა“ გუნდი. საიუბილეო შეჯიბრების ორგანიზატორებს გადაწყვეტილი აქვთ „ვარსკვლავთა“ გუნდში გამოიყვანონ ფეხბურთელები, რომლებმაც უკანასკნელ მსოფლიო ჩემპიონატში წარმატებით ითამაშეს. ესენი არიან: იაშინი (სსრ კავშირი), უბინასი (ურუგვაი), სოკო (ესპანეთი), ვებერი (გფრ), მარცოლინი (არგენტინა), ბ. ჩარლტონი (ინგლისი), ბეკენბაუერი (გფრ), ბენე (უნგრეთი), როხა (ურუგვაი), ეუსებიო (პორტუგალია), პიტერსი (ინგლისი) ან მასი (არგენტინა). ნაკრების კანდიდატებად დასახელებული არიან ბენქსი (ინგლისი), კოლუნა (პორტუგალია), მეტრეველი (სსრ კავშირი), შულცი (გფრ) და ფარკაში (უნგრეთი).

ვენა, 12 მაისი. საფრანგეთის ფეხბურთელთა ოლიმპიური ნაკრები აქ შეხვდა ავსტრიის გუნდს — 1:1 (შინ ფრანგებმა მოიპოვეს გამარჯვება — 3:1). ამრიგად, ამ ქვეყნის გუნდმა დაიმახურა მექსიკის ოლიმპიადის ფინალურ ტურნირში მონაწილეობის უფლება. ევროპის კონტინენტიდან ასეთი უფლება უკვე მოპოვებული აქვთ უნგრეთის (ტოკიოს ოლიმპიადაში გამარჯვებული), ესპანეთისა და ბულგარეთის ფეხბურთელებს.

რომი, 12 მაისი. იტალიის ჩემპიონები მეცხრედ გახდნენ „მილანის“ ფეხბურთელები. მათ 30 მატჩიდან 18 მოიგეს, 10 ფრედ დაამთავრეს და მხოლოდ ორჯერ იწვნიეს დამარცხება. შარშანდელი ჩემპიონი „იუვენტუსი“ III ადგილზე გავიდა. იგი მილანელებს 10 ქულით ჩამორჩა.

ლისაბონი, 12 მაისი. პორტუგალიის ჩემპიონობა კვლავ მოიპოვეს „ბენფიკას“ ფეხბურთელებმა. ბოლო მატჩში მათ დაამარცხეს „ვარზიმის“ კლუბი — 8:0. 6 ბურთის ავტორია ეუსებიო. სახელგანთქმულმა ფეხბურთელმა 26 კალენდარულ მატჩში 42-ჯერ აიძულა მეტოქეები ცენტრიდან დაეწყოთ თამაში.

პარიზი, 12 მაისი. ფრანგულმა კლუბმა „სენტ-ეტიენმა“ ეროვნული პირველობის დამთავრებამდე რამდენიმე ტურით ადრე გაინაღდა ჩემპიონის სახელი, ხოლო დღეს საფრანგეთის თასიც მოიპოვა. მან დაამარცხა „ბორდოს“ გუნდი — 2:1.

## საქართველოს გუნდი — მეორე ადგილზე

ტალინი, 12 მაისი. დამთავრდა კალათბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობდნენ ფინეთის, პოლონეთის, საქართველოს, ლატვიის ნაკრები გუნდები და ესტონეთის ორი კოლექტივი. გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ბოლოსწინა კალენდარული დღის შეხვედრას საქართველოსა და ესტონეთის გუნდებს შორის, ვინაიდან მანამდე არც ერთ მათგანს არ ჰქონდა დამარცხება. შეხვედრის ძირითადი დრო ფრედ დამთავრდა — 64:64. დამატებით 5 წუთში გამარჯვებას მიაღწიეს მასპინძლებმა — 81:72. ამ დღეს პოლონეთის ნაკრებმა დაამარცხა ფინეთის გუნდი — 88:81, ხოლო ლატვიამ — ესტონეთის ჰაბუკთა კოლექტივი — 94:77.

ბოლო დღეს ესტონეთის ნაკრებმა დაამარცხა ლატვიის გუნდი — 69:61 და ტურნირში I ადგილი დაიკავა. II ადგილისთვის ბრძოლაში საქართველოს ნაკრებმა მოუგო პოლონეთს — 75:69.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. 8 უე 04057